

# რეადმისია და მისი პრაქტიკული განხორციელება საქართველოში

დალი ბრეგვაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის  
ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების  
შესაბამისად*

პროგრამა: საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: არჩილ აბაშიძე, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

**დალი ბრეგვაძე**

**თბილისი, 2021**

## აბსტრაქტი

მიგრაციის მართვის ეფექტიანი მექანიზმების განვითარება, ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობა და უკანონო მიგრაციასთან და მასთან დაკავშირებულ დანაშაულთან ეფექტური ბრძოლა მნიშვნელოვანი წინაპირობაა ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სოციალური უსაფრთხოების. მიგრაციის მართვის მდგრადი სისტემების განვითარებით, ქვეყნების მიზანია მაქსიმალურად გაზარდონ მიგრაციული პროცესების სარგებელი და შეამცირონ უარყოფითი შედეგები.

აღამიანთა გაზრდილმა მობილობამ მსოფლიოს წინაშე განსაკუთრებული სიმძაფრით დააყენა ქვეყანაში მიგრაციული ნაკადების ეფექტიანი მართვის საჭიროება. ბოლო ათწლეულებია მიგრაციის მართვის მნიშვნელოვან ელემენტად ქვეყნები დაბრუნების პოლიტიკას განიხილავენ, როგორც სახელმწიფო საზღვრის კონტროლის და სამართლიანი თავშესაფრის სისტემის განუყოფელ ნაწილს. ერთი მხრივ, ქვეყნებს აქვთ უფლება და ვალდებულება დააწესონ ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლის, ყოფნის და ქვეყნის დატოვების წესები და ამავდროულად, დააწესონ პროცედურები პირთათვის თუ მათი ყოფნა ქვეყანაში მიიჩნევა უკანონოდ. დაბრუნების პოლიტიკა არ მოიაზრება განყენებულად, მხოლოდ დანიშნულების ქვეყნის პასუხისმგებლობის საკითხად. მიუხედავად იმისა, რომ პროცესი დანიშნულების ქვეყანაში იწყება მისი წარმატება დიდ წილად დამოკიდებულია წარმოშობის და ტრანზიტული ქვეყნების მხრიდან ეფექტურ თანამშრომლობაზე. შესაბამისად, უკანონო მიგრაციაზე სათანადო და ეფექტური რეაგირებისთვის ქვეყნები ავითარებენ საერთაშორისო თანამშრომლობის ფორმატებს პირთა ორგანიზებული და უსაფრთხო დაბრუნების მიზნით.

უკანონოდ მყოფ პირთა დაბრუნების სფეროში თანამშრომლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმად რეადმისიის შეთანხმება განიხილება. რეადმისიის შეთანხმება, უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის ტვირთს, დანიშნულების

ქვეყნიდან გადაანაწილებს ტრანზიტის, წარმოშობის ან/და მიმღებ ქვეყნებზე და დაბრუნების პროცედურებზე შეთანხმებით, უზრუნველყოფს ქვეყანაში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფ პირთა იძულებითი დაბრუნების გადაწყვეტილებების ეფექტურ აღსრულებას.

ნაშრომი მოიცავს უნებართვოდ მცხოვრებ პირთა დაბრუნების პროცესში რეადმისიის შეთანხმებების როლს, შეთანხმებების განხორციელების პრაქტიკას საქართველოში, დანერგილ მექანიზმებს და გამოწვევებს. ნაშრომში ძირითადი აქცენტი კეთდება საქართველოსა და ევროკავშირს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ შეთანხმების განხორციელებაზე.

ნაშრომზე მუშაობისას, გამოიკვეთა რომ საქართველოს მიერ შეთანხმების განხორციელების მიზნით შექმნილია ინსტრუმენტები, რაც უზრუნველყოფს რეადმისიის შეთანხმებების ფარგლებში აღებული ვალდებულებების ეფექტურ განხორციელებას. თუმცა, ასევე რჩება გამოწვევები, რომლის საპასუხოდ მნიშვნელოვანია პროცესის მდგრადობის შენარჩუნება.

ძირითადი საძიებო სიტყვები: რეადმისია, უკანონო მიგრაცია, კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი პირების დაბრუნების პოლიტიკა

## Abstract

Developing an efficient mechanisms of migration management, supporting legal migration and effective fighting against illegal migration and related crimes are important determinants of a country's economic, political and social security. By creating sustainable systems of migration management, the state aims to raise the positive effect and reduce negative impacts of migration.

Increased mobility of humans arose a serious need for efficient management of migration flows in the country. In the last decades, countries consider return as an important element of migration management as an inseparable part of state border control and fair asylum system. On one hand, the states have the right and obligation to impose rules of entering the state's territory and leaving the state, and simultaneously develop procedures for persons, whose being in the country is considered unlawful. The return policy is not thought to be an abstracted concept but a liability issue of the destination country. Even though the process begins in the destination country, its success mainly depends on the efficient cooperation of the origin and transition countries. Hence, for appropriate and efficient reaction to illegal migration, some countries develop international cooperation formats in order to ensure organized and safe returns.

Readmission agreement is considered as one of the most important tool in terms of cooperation in the field of return of illegal migrants. Agreement distributes the burden of fighting against illegal migration from the destination country to countries of the transit and/ or origin and, by agreeing on the return procedures, ensures efficient execution of decisions of forced return of persons being in the country without authorisation.

The paper covers the role of readmission agreements in the process of returning people living without legal ground; also, the practice of implementation of readmission agreements in Georgia, already implemented mechanisms and challenges. The paper is

mainly focused on the implementation of the Agreement between the European Union and Georgia on the readmission of persons residing without authorisation.

While working on the paper, it was revealed that Georgia, in order to implement the agreement, has created tools ensuring the efficient realization of obligations taken within the readmission agreement. Although, there are challenges to be solved. In this regard, it is important to maintain the sustainability of the process.

**Key word: Readmission, Irragular Migration, Return Policy of Persons resighing on the territory of the country without authorization**